№ 220
ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 1901 წ.

1877–1901

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 220
ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	ქან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

8 ოქტომბერს გარდაიცვალა
ᲜᲐᲓᲕᲝᲠᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ,
რასაც, გარდაცვალებულის **მეუღლე, დედა და ძმები**, მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მოგბრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად ქალაქ ოზურგეთში ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს.
2—218—2

ტ ფ ი ლ ი ს ი ს კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მ ი ხ ე ი ლ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Თ. Ი. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მ ი ხ ე ი ლ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

Ი. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

Ვ. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

Ი. პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

Ა. მ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალის, 10—11 საათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ მ. ს. ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ ბავშვებისა—11—12 ს.

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

Ა. Გ. ᲑᲐᲠᲡᲣᲪᲝᲕᲘ — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

Ვ. Ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

Ი. Დ. ᲑᲔᲖᲗᲐᲑᲔᲖᲝᲕᲘ. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.
„ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ № VII, 1901 წ.

ესრედ წოდებულს „ტენდენციურს ლიტერატურას“ ჯერ თავის დღენი არ მოუჭამია. პირიქით, ეს სალიტერატურო შკოლა ახალს მოწაფეებს იძენს, მათის ნიჭით იკვებება და ფერს იცვლის. ხოლო ფერის-ცვალება ლიტერატურაში ხომ იგივე სიცოცხლეა, იგივე სანატრელი „ევოლიუცია“.

მაგრამ ფერის-ცვალების მიუხედავად უმთავრესი საგანი ამ სალიტერატურო დარგისა,—მისი იდიალური ტენდენცია,—უცვლელი რჩება. მისის დასახვით გლეხი კაცი ყველა ათნოებისა და სიკეთის ჭურჭელია, მაგრამ ყოველ მხრივ უბედური და ყველასაგან ჩაგრული, ამიტომაც ბუდი თუ სჭირს რამე—სხვის მიზეზით. ვისი ბრალია,—რა მოგახსენოთ, ამას-კი ყველა ხედავს, რომ გლეხი კაცი ტანით ჯანმრთელია და ღონიერი, ცხოვრების ბრძოლაში-კი მაინც მუდამ დამარცხებული რჩება, იმიტომ რომ ხელ ცარიელია, უიარაღო, უკაპიტალო. მისს დიდბუნებოვანს ეროვნულს სულს ფრთა ვერ გაუშლია და თავისი ძლიერება კაცობრიობის გასაბედნიერებლად ვერ გამოუყენებია, იმიტომ რომ მისს სულის სწრაფვას უცოდინარობა და ცრუმორწმუნობა ეღობება. ალალი გული და პატიოსნება, რადგან ზეგარდმო მინიჭებული აქვს, სწადიან ყველას ძმურად ჭ სამართლიანად მოექცეს, მაგრამ ამის ნაცვლად მტრობისა და უსამართლობის მეტს არას უწყიან.

ყველა ნივთიერს ნაკლულევანებას აიტანს უდრტვინველად კაცი, სულიერს გაჭირვებასაც გაუძლებს, უსამართლობას-კი არას დროს არ დასთმობს. და რაც უფრო დაბალს საზოგადოებრივს ხარისხზე დგას კაცი, მით უფრო გრძნობს სიმრუდესა, მით უფრო გული ეწვის უსამართლობისაგან, მისს უბრყვილო გულში სამართლის ხმას ვერა ბრძნული მოსაზრება და ვერა სოფისტიკური მანქანება ვერ ჩააჩუმებს.

მრავალ გვარი უსამართლობა ატყდება გლეხის თავს. ვინ გინდა ქვეყანაზე, რომ თავის თავს გლეხის უფროსად არა სთვლიდეს და მისს წყენას ერიდებოდეს?—უკანასკნელი გლეხიც, თუ გზირის ჯოხი ხელში აიღო, იგიც ჭლამის თავისს მოძმეს, უჯოხო გლეხს, თავში ჩაჭკრას ან წაჭგლიჯოს რამე. დაბალ ხარისხის მოხელეების უსამართლობითა და თვითნებობით გლეხკაცობა იჩაგრება, ქონებრივად ზარალდება და ზნეობრივად ირყვნება. ამიტომ ვინც-კი ასეთს უსამართლობას ამხელს, ხალხის მოკეთედ უნდა ჩაითვალოს და მის მადლობის ღირსად.

ასეთს მოკეთედ გამოუჩნდა ქართველობას ახალი მწერალი ბ. სიკო, რომელიც თავისს პატარა მოთხრობაში სახელად „სოფელში“ გვიამბობს ერთს შემაძრწუნებელს უსამართლობას, მამასახლისის და პრისტავის ჩადენილს, რომელსამე ქიზიყის სოფელში.

სცენა სწარმოებს, თავიდან ბოლომდის, სოფლის დუქანში.

მამასახლისი და მისი გულითადი მეგობარი მედუქნე გეო დუქნის უკან ოთახში სხედან, ერთმანერთს შესტრფიალებენ და წითელ კახურს შეექცევიან. შემოვა გზირი და მოახსენებს მამასახლისს, რომ ქიტელაშვილი მიხაკო უჩივის გოგიაშვილს იესეს, ყანაში ძროხები შემომირეკა და მისავალი წამიხდინაო. თავისს მოხსენებაში გზირი არა მალავს, ვისი მხარეც უჭირავს და მამასახლისს უქებს მოპასუხის მსუქანს ინდოურს და კაი კახურს ღვინოს. სანამ მოჩივარსა და მოპასუხეს მოიყვანენ, მამასახლისი და გეო მაშინვე მიხვდებიან, რომ ამ საქმეში გამორჩებიან რასმე და ლუკმას წინადვე იყოფენ.

მოიყვანენ მოჩივარ-მოპასუხესაც იქვე დუქანში, მაგრამ, რადგან შეზარხოშებულს მამასახლისს სძინავს, მედუქნე გეო გამოჰკითხავს მოჩივარს საქმის გარემოებას, ვითომც მისთვის გული სტკიოდეს. ამაზე მოჩივარ-მოპასუხეს ჩხუბი მოუვათ და მოპასუხე მოჩივარს ცხვირ-პირს დაუმტვრევს.

ნაცემი და გულ დამწვარი მოჩივარი პრისტავთან მირბის სამართლის სათხოვნელად, მოპასუხე-კი რჩება ისევ დუქანში; და ახლა გეო მეფისტოფელისებურად შეუჩნდება ჭ არიგებს მოჩივარს არა უზღოს-რა და მის მაგიერ მამასახლისი მოისყიდოს. მოვა გამოძინებული მამასახლისიც და, გეოს დახმარებით, მოპასუხეს გაურიგდება ერთს თუმანსა და ერთს სადილად მისს სასარგებლოდ საქმე გადასწყვიტოს.

ამ დროს დაბრუნდება მოჩივარი, რომელსაც პრისტავი ალბად შინ არ დახვედრია და სთხოვს მამასახლისს გაგვასამართლეო. მამასახლისი შედის საქმის გარჩევაში და, რადგან მოქრთამულია, ცხადად ჭლამის სამართალი მოპასუხისკენ გადასჭრას. მაგრამ მოჩივრის ცოლი, რომელიც საქმეში ერევა, თავის ყვირილით შეჰყრის დუქნის წინ ბლომა ხალხს და უამბობს საქმეს. ახლა ხალხი ჩაერევა საქმეში: ზოგი ერთის მხარეს იჭერს, ზოგი მეორეს ესარჩლება, და შეიქნება ერთი უთავბოლო ყაყანი და ლანძღვა-გინება. ეს გარემოება დააფიქრებს მამასახლისს, რომელმაც აღარ იცის როგორ გაათავოს საქმე.

„ვინ იცის ეს ამბავი რით გათავდებოდა, ამ დროს ბოქაული რომ არ გამოჩენილიყო რამდენიმე ყაზახითაო,“ ამბობს ავტორი... და მკითხველიც სიხარულით ეგებება ამ პატარა deus ex machina-ს, ეგების ეს გაიგებს მაინც საქმის ვითარებას და რიგიანს გზას დააყენებსო... დაუთმოთ სიტყვა ავტორს.

ბოქაული რიგიანი, სვინდისიანი კაცი იყო, მაგრამ სამსახურში დაბერებულიყო და მოძულებული ჰქონდა აქეთ-იქით სიარული და ყბედ-უზდელ ხალხთან ავანჩავანი, ყოველ საქმეს ცივათ ეკიდებოდა, ხშირად ალალ-მართალს კაცს ღებულობდა (?) დამნაშავედ და სჯიდა.

— რა ამბავია, რისთვის შეკრებილხართ?—იკითხა ბოქაულმა.

— ლაპარაკი რამ გავიგეთ და ხმაზე შევგროვდით. ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის ხასიათი,—სთქვა ერთმა მოხუცმა.

— არა,—დაიძახა მოჩივარმა, წამოდგა წინ, მოიხადა ქუდი, ჯოხს დაებჯინა და უამბო, როგორ წაუხდინეს ყანა, როგორ იჩივლა, მაგრამ, დაუმატა მან,—მამასახლისმა მომიყოლა რაღაცები, დაამტკიცე;

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.
ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:
Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
Ჟ. მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
Კ. Ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
Ა. პ. ᲛᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
Ნ. Ნ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲒᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
Ა. Ნ. ᲨᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.
Გ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
Ს. Ტ. ᲐᲠᲨᲕᲘᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.
Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 28 დღესა, დილის თერთმეტ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ.

განსახილველია შემდეგი საგნები

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1900 წლის მოქმედებისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ, 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის, 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა, 5) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და 6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(5—უ.—1)

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

აცხადებს **საყოველთაოდ**, რომ კავკასიის **მთავარ-მართებლის** განკარგულებით მომავალი არჩევნები ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა მოხდება სამ საარჩევნო კრებაზედ. ერთ კრებაში შევიყენ 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილების ამომრჩეველნი, მეორეში—5, 6 და 7 ნაწილების ამომრჩეველნი და მესამეში—8, 9 და 10 ნაწილების ამომრჩეველნი. ქალაქის გამგეობა, შეუდგა რა ამომრჩეველთა სიების შედგენას, იწვევს ბ-ნთ უძრავ ქონებათა პატრონთ გაანთავისუფლონ თავიანთი ქონებანი დაფასების ვარდადასახადის იმ დარჩენილ ფულისაგან, რომელიც 1901 წლის 1 ივლისამდე ითვლებოდა, ამასთან იმათ, ვისაც უძრავი ქონებანი და სავაჭროსამრეწველო დაწესებულებანი ქალაქის რამდენსამე ნაწილში აქვთ, უნდა წინდაწინვე გამიუცხადონ გამგეობას, ხმოსანთა არჩევანების დროს რომელ საარჩევნო კრებაში ჰსურთ მოსაწილეობის მიღება.

(3—ნ.—2)

პ ი რ ვ ე ლ ი კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.
ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:
Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
Ჟ. მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
Კ. Ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
Ა. პ. ᲛᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
Ნ. Ნ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲒᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
Ა. Ნ. ᲨᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.
Გ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
Ს. Ტ. ᲐᲠᲨᲕᲘᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.
Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 11 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ ჩვენის ნიჭიერ არტისტის ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება 4 მოქმ. დრამა, თარგმ. მ. ნასიძისა „ბედს ვერ წაუხვალ“ და 1 მოქმედ. ვოდევილი მ. ჟღენტისა „ძალად ავაზაკნი“.

*** კვირას, 28 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრებაა დანიშნული.

კრებაზედ განიხილვენ 1900 წლის წლიურს ანგარიშს, მოხსენებას სარევიზიო კომისიისას ამ ანგარიშის შესახებ, 1901 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას, ამოირჩევენ ახალს წევრებს საზოგადოებისას, გამგეობის თავმჯდომარესა, წევრებსა და სარევიზიო კომისიის წევრებსა.

*** როგორც მოსკოვიდგანა გვწერენ, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ბ-ნს ხახანაშვილს ქართული ლიტერატურიდგანა და ისტორიიდგან ლექციების კითხვა 3 ოქტომბერს დაუწყია.

*** ამას წინად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ შუამდგომლობა აღსძრა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს ახალციხის მაზრის სოფელ ხიზაბავრაში სახალხო წიგნთ საცავ-სამკითხველო გახსნას. როგორც შევიტყეთ, მთავრობას ამაზე უარი განუცხადებია იმ მოსაზრებით, რომ ხიზაბავრაში წერა-კითხვა გავრცელებული არ არის და მცხოვრებნი სამკითხველოთი ვერ ისარგებლებენო.

*** როგორც „Тифлис. Л.“ სწერს, ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრობაზედ კანდიდატებათ თურმე ასახელებენ ბ-ნს სულიევს (თავმჯდომარეს ობოლთა სამზრუნველოსას), ქალაქის მდივანს ბ-ნს ჭრელაშვილს, ქალაქის საბჭოს წევრს ლისიციანსა და ქალაქის ინჟენერს ბ-ნს ენფიანჯიანცს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ქალაქის საბჭოს ახალის ხმოსნების საარჩევანო სიების შედგენას, რომელიც დასრულებულ უნდა იქნას მომავალ წლის იანვრის პირველ რიცხვებისათვის. ხმოსნების არჩევნები 1902 წლის აპრილის პირველ რიცხვებში უნდა მოხდეს.

*** საერო განათლების სამინისტროში მალე დაიწყებს მუშაობას საგანგებო კომისსია, რომელსაც მინდობილი აქვს დაწვრილებით შეიმუშავოს ის საგანი, რომ უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში მიიღონ ხოლმე მხოლოდ სწავლის ნიშნების უფროსობით და არა ხელ-მეორედ საკონკურსო გამოცდით, როგორც ეს ამ ჟამად არის. მიზეზად ასეთის ცვლილებისა მოსწავლეების უზომოდ დაღლილობას ასახელებენ.

*** გზათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის გზით ბარგის და ხვა-და-სხვა საქონლის დროზედ გადაზიდვ-გადმოზიდვის საქმე რიგზედ მოაწყონ.

*** როგორც ხმა დადის, ყველა საქველ-მოქმედო დაწესებულებანი სახელმწიფო კანტროლს თურმე უნდა დაუმორჩილონ.

*** უწმ. სინოდის განმარტებით, საეკკლესიო მონანიება (ეპიტიმია) ჯვრის წერაში არავის თურმე არ აბრკოლებს.

*** ლაპარაკი თურმეა აღძრული სრულიად რუსეთის ნოტარიუსთა კანტორების მსახურთა საპენსიო კასსა დააარსონ.

*** „Правит. Вѣстн.“-ში გამოქვეყნებულია, რომ შავის ზღვის პირად, იეშალ ირმაკისა და ყიზილირმაკის მდინარეებს შუა, სამსუნის სინჯაკი შავის ჭირის მხრივ საეშიშია.

*** გუშინწინ, 9 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დაიწყო კავკასიის შინა მრეწველთა კრება ბ-ნ ფირალოვის თავმჯდომარეობით.

კრების გახსნამდე თავმჯდომარემ აღნიშნა მნიშვნელობა შინა მრეწველობისა ტ აცნობა დამსწრეთ, რომ გორ დაარსდა კავკასიის შინა მრეწველთა კომიტეტი.

ამ კრებაზედ მოხსენებები წაიკითხეს ქალანთარმა, თ. თუმანოვმა და ბ-ნმა სულთან-კრიმ-გირეიმ. შემდეგი კრება დღეს საღამოს მოხდება. მოხსენებას წაიკითხავენ ბ-ნნი შიმანოვსკი, გძელიშვილი, კოზუბსკი და ზელნიცკი. საყურადღებოა, რომ ამ კრებაზედ დასასწრებლად სოფლიდგან არც ერთი შინა-მრეწველი არ ჩამოსულა.

*** დღეს, 11 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: 1) ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მომავალ 1902 წლის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა, 2) არჩევანი მასწავლებელ ქალებისა ქ-ნ წინამძღვარიშვილისა და მარკოზოვის ნაცვლად, და აგრეთვე მათის კონდიდატებისა და 3) ქალაქის სკოლებში საღმრთო სჯულისა და ადგილობრივ ენების განაწილების საქმე და ამ საგნების მასწავლებელთა არჩევანი.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ თავის წარმომადგენელად და ტფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორად დანიშნა ინჟენერი ბ-ნი როლლოვი. რადგანაც ბ-ნ როლლოვისათვისვე საზოგადოებას მიუნდვია მამადავითის გორაზე ფუნიკულერის გაყვანის საქმე, ამ დღეებში მან ეს ამბავი აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას და წარუდგინა რწმუნების ქაღალდიც.

*** რედაქციამ მიიღო „ჯეჯილის“ მე-9 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1) „მებაღე და ღორი“, ლექსი დ. თომაშვილისა; 2) „მეხი“, ნამდვ. ამბავი კ. ტატიშვილისა; 3) „კვერნა“, კახ-იმერლისა; 4) „თომა ედვარდის ყმაწვილობა“, თარგმანი ან. წ—ისა; 5) „უწინდელი ცხოველები“, ი. გომართელისა; 6) „ყადის სამართალი“, რუს. ან. წერეთლისა; 7) „უკანასკნელი გაკვეთილი“, ალფონს დოდესი, თარ. მ. დემურიას მიერ; 8) „მკურნალი“, შ. მღვიმელისა; 9) „ლედი ჯენ“, მოთხ., თარგმ. ელ. წერეთლის მიერ; 10) წვრილმანი: ზმა, გამოცანები, უჯრების ამოცანა, ანაგრამა და სხვანი.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბე“-ს მე-9 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: ისნის ცისკარი.—(ისტორიული მოთხრობა) ვ. ბარნოვისა; სიმღერა.—ლექსი ბ-ჩანასი; ღვინის ქურდი.—ქიზიყელებზედ ქართლში გაგონილი პატარა ამბავი შ. არაგვისპირელისა; გურია-აჭარა. მგზავრის წერილები—XXIII.—ხალთის ხეობა, თ. სახოკიასი; არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი —ე. თაყაიშვილისა (გაგრძელება); ძველი თაობა —წერილი მეოთხე არჩილ ჯორჯაძისა; უცხოეთის მიმოხილვა.—ოსმალეთის სომხეთის საქმე (მოკლე ისტორია);—მუშათა პარტია და ეროვნობა.

*** ბელოგორის [illegible] ბიან, რომ 8 ოქტომბერს [illegible] ლეთო კასსის ფანჯარასთან კედელზედ მიკრული ორი „კრუჟკა“ ნებაყოფლობით შეწირულებათა ვიღასაც გაუტეხნია და ფული წაუღია.

დაბალ სოფელი

—

ს. მეჯვრისხევი. კარგა ხანია მეჯვრისხევის ინტელიგენტთ აზრად ჰქონდათ: 1, სოფელში სამკურნალო ქსენონი გაეხსნათ აფთიაქითა და მკურნალ-ფერშალით, ან-და მარტო ფერშლით მაინც და ამ რიგად 1000 კომლზედ მეტი ხალხი ახლო-მახლო სოფლებისა გაჭირვების დროს მკურნალისა და წამლების მხვრივ უზრუნველ-ეყოთ, რადგანაც სამაზრო ქალაქიდგან 18—20 ვერსის მანძილზედ მკურნალის მიწვევა ყველას არ შეუძლიან; დაეხსნათ ხალხი ძალად ექიმებისა და მკითხავებისაგან, რომელთა უმეცრების მსხვერპლად არა ერთი და ორი გამხდარა და უდროოდ გამგზავრებულა საიქოსა და 2, დაეარსებინათ სოფელში სავაჭრო ამხანაგობა, სინდიკატი, სადაც სოფლის ყოველსავე ნაწარმოებს ბაზარი ჰქონოდა და ჩირის ფასად არ ეზიდნათ ჩარჩებს მუშა ხალხის ოფლით მონაგარი ნაჭირ-ნახულევი; გაეძევებინათ სოფლიდგან ეს მატყუარა, მყვლეფავი „მეკრივენი,“ რომელთაც „მეჯვრისხევი შემკოლილი“ შამფურზედ წამოუგიათ, ატრიალებენ წაღმა-უკუღმა, სთლიან ნელ-ნელა და ცვრიანი მწვადისავით შეექცევიან.

ასეთ სიმპატიურ დაწესებულებათა დაარსებას შეგნებული ხალხი რასაკვირველია, თანაგრძნობითა და სიხარულით ეგებებოდა, მაგრამ მის განხორციელებას მუდამ ჩვენი ძველი ნაცნობი „უფულენკია“ ეღობ-

---

რა უნდა დავამტკიცო, ერთი საწყალი კაცი ვარ, დამღუპეს და დამაქციეს!

ბოქაულმა შეიკრა შუბლი და მიუბრუნდა მამასახლისს. მამასახლისმა საბრალო ხმით მოახსენა.

— შენი ჰირიმე, ბატონო, გაგვიგონე, რა მოგახსენოთ: ეს კაცი მეტის-მეტი მყვირალა და მოუსვენარია, ყოველ დღე ჩივის და გვეჩხუბება. აი ეხლაც მარტო ილანძღება და არ უნდა გაგვაგებინოს, რა უნდა!

— რას არ გაგებინებ, რას ამბობ?—შეჰყვირა მოჩივარმა: გეუბნები, ყანა წამიხდინეს მეთქი, მოწმები გინდა? აი მთელი ქვეყანა.

— მართალს ამბობს?—შეეკითხა ბოქაული დამნაშავეს.

დამნაშავემ დახარა ძირს თავი; გაწითლდა, შეტოკდა, შეიჩმუჩნა, თავიც მოიფხანა, მაგრამ მაინც ვერა სთქვა რა, მხოლოდ „მმუ“-ო წაილუღლუღა.

— ბატონო, ჩვენ კარგად ვიცით, რო ეს კაცი არაფერშია დამნაშავე, ეს მოჩივარი კაცის ხათაბალაში გამბმელია.

— ოჰ, მამასახლისო, სტყუი,—დაიკვნესა მოჩივარმა.

— რა გაყვირებს, ბიჭო, ბატონთან როგორ რასმე ბედავ, უსვინდისოვ,—წამოტყვრა გეო.

— აი უსვინდისოს მოსტყდეს კისერი,—დაიყვირა მოჩივარმა

— ჩუმათ,—შეუბღვირა ბოქაულმა.

— ეგ არ გაჩუმდება, ბატონო, ბუნტის, ავან-ჩავანის აშლა მაგას ისე უყვარს, როგორც წურბელას სისხლი, მამასახლისმა საჭიროდ დაინახა უფრო გაეჯავრებინა ისეც გაანჩხლებული მოჩივარი.

— მაგისაგან მეც კი, არამც თუ მთელ სოფელს მოსვენება არა აქვს.—დაუმატა გეომ.

— მაგისთანას მათრახი, მათრახი,—შუბლი შეიკრა ბოქაულმა.

— ოხ-მე,—გაახრჭიალა კბილები მოჩივარმა:—მე ვიცი ვისაც უნდა ჰათრახები, მაგრამ სიმართლე და სამართალი არსად არის!

— როგორ თუ სამართალი არსად არის! აი, შე აბეზარო შენა,—აღელდა ბოქაული:—მართლა მავნე (?) ყოფილხარ!

— ბატონო, დამშვიდდით, თორემ თქვენც რამეს უკადრისს შემოგკადრებთ,—არისვენებდა მამასახლისი.

— ეგ ისეთი ბრიყვია, რომ ყველაფერი ხელიდან გამოუვა, დაუმატა გეომ.

— გაჩუმდით,—მიუბრუნდა მოჩივარი მამასახლისს და გეოს,—თორემ ა ბოქაულთან ა ჯოხს ზედ ზურგზედ დაგალეწამთ.

— დახე ამ დათს, ამას!—გაჯავრდა ბოქაული.

— ფუი, ყველა რა უსვინდისო ყოფილა, ღმერთო ჩემო,—სთქვა მოჩივარმა და წასასვლელად გაბრუნდა.

— დაანებე თავი, წავიდეს, დაიღუპოს,—უთხრა ბოქაულმა გზირს, რომელიც მოჩივარს გადუდგა წინ და გაჩერებას უპირებდა. ბოქაული შეჯდა ცხენზედ და წავიდა თავის გზაზედ.

მამასახლისი და გეო მხიარულებდნენ.

საწყალი მოჩივარი!—ყანა წაუხდინეს, ცხვირ-პირი დაუმტვრიეს და მართალი კაცი გაამტყუნეს.

სულელი მოპასუხე!—იცოდა თავისი დანაშაულობა, მზად იყო მოჩივარისთვის ზარალი ეზღვია და, იმის მაგიერ რომ მოჩივართან შერიგებულიყო, მედუქნე გეოს თავს აბრიყვინებს და მამასახლისს ტყუილა-უბრალოდ ერთ-თუმან ფულს და ერთ სადილს აჭმევს.

ხეპრე ხალხი!—უნდა მართალს კაცს უშველოს, მისს საქმეში ერევა და თავისის უგუნურობით ყაყანისა და ლანძღვის მეტი ვერა მოუხერხებია რა.

უნამუსო მამასახლისი!—თავისი სულელი მედუქნის ღვინოში ჩაუნთქავს და სამართალს ურცხოდ ჰყიდის.

პამპულა პრისტავი!—რიგიანი და სვინიდისიანი კაცი, სამსახურში დაბერებული... პლუტი მამასახლისი და მედუქნე კი ისე, თვალს უხვევენ და აბრიყვებენ, თითქო ჩვილი ბავშვი იყოსო.

პლუტი და ობერ-პლუტი მედუქნე გეო, რომელიც ყველას აბრიყვებს და ბოლოს მარტოდ მარტო მოგებაში რჩება.

საშინელი და შემაძრწუნებელი ამბავია, მხოლოდ ერთი რამ აკლია,—სიმართლე. ისე, როგორც ბ. სიკო გვიამბობს, მაგისთანა ამბავი ვერც ქიზიყში და ვერც საქართველოს სხვა კუთხეში მოხდებოდა.

საქმე ის არის, რომ სასოფლო დებულების ძალით, გლეხების დავა სასამართლოს ექვემდებარება და არა მამასახლისს, ყანის წახდენა კი, ისევე, როგორც ყველა ქონებრივი ზარალი, სადავო საქმეა,—მიხაკო ქიტელაშვილის საჩივარი მამასახლისს გასარჩევად არ უნდა მიეღო, არამედ მოჩივარის ყანაზე უნდა წასულიყო ზარალის შესამოწმებლად, ამის თაობაზე ოქმი შეედგინა და მოჩივრისათვის ჩაებარებინა სასამართლოში წასადგენად. ეს ოქმი მოჩივრის ხელში საბუთი იქნებოდა, რომ მისი ყანა ნამდვილ გაუთელიათ, ხოლო დამნაშავის დარქმევა, მისი გასამტყუნებელის საბუთების წარდგენა მოჩივრის საქმეა, და გასამართლება—სოფლის სუდიების.

ვთქვათ, ქიტელაშვილმა მიხაკომ არ იცის სოფლის დებულება და თავის საჩივრით მირბის მამასახლისთან: გაგვასამართლეო. ვთქვათ, გზირს მოპასუხე გოგიაშვილის მსუქანი ინდოური და კაი კახური ელანდება და „პოლაჟენია“ დაავიწყდა. ვთქვათ, მამასახლისი მოსყიდულია და განზრახ იჩემებს მსაჯულის უფლებას. ვთქვათ, მედუქნე გეოც ამ საქმიდან თავისს სარფას მოელის და მისთვის სამართალსა და წესიერებას.... ჯანაბამდის გზა ჰქონია. ეგ ყველა კარგი და პატიოსანი, ეს სოფლის ხალხი კი, საქმის გარჩევას რომ ესწრება და ზოგი მოჩივრის მოსარჩლედ რომ ხდება, ეს ხალხი რაღას უყურებს? პირველია სოფელში ასეთი შემთხვევა? ყანა ჯერ არავისთვის წაუხდენიათ? ნუ თუ ხალხში არავინ იცის ასეთის საქმის გადაწყვეტის წესი და ვერ ჩააგონებს მოჩივარს, თუ რა გზით უნდა ყძებოს სამართალი? მართალია, ქიზიყელებს ჭკუის-გამჭრიახობის სახელი ჯერ არ მოუხვეჭიათ, მაგრამ არც ისულელია ქიზიყელი, როგორც თავს ისულელებს.

საქართველოში დიაღ შესაძლებელია არა ერთი ისეთი უპატრონო სოფელი იყოს, სადაც არავითარ წესიერება არ მოიპოვება; სადაც არც სოფლელებმა და არც სოფლის მოხელეებმა იციან თავიანთ უფლებანი და მოვალეობანი; სადაც მოხელეთა თანამდებობანი განუსაზღვრელნი არიან, მამასახლისი სასამართლოს საქმეში ერევა, უბრალო საქმე კი, რომელიც მამასახლისის განკარგულებით უნდა გათავებულიყო, სუდიების გასარჩევ ხდება. რადგან ასეთი სოფლებ მოიპოვებიან ჩვენში, მაშ ვთქვათ ქიტელაშვილის საქმეც სწორედ ა გვარს სოფელში მოხდა.—მაგრ ეს პრისტავი რაღას შვრება? ნ თუ ამანაც არ იცის სოფლის მ ხელეების უფლება და მოვალეობ რომელს მათგანს რა საქმე ეკ მდებარება.

ავტორს რომ პრისტავი უნამუსო მოქრთამე კაცად, ან სამსახურ გამოუცდელად გამოეყვანა,—კიდ ჰო, მაგრამ საქმეც ის არის, რ

ბებოდა წინ და აბრკოლებდა. გლეხ-კაცობასა და საზოგადოდ ხელ-მოკლეებს ეძნელებოდათ და ვერ გაებედნათ ამ საგნისათვის ახალი გადასახადი გაეღოთ ფულად.

რომ ყველასთვის, წოდებისა და შეძლების განურჩევლად, ჩელმისაწვდომი და შესაძლებელი ყოფილიყო ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, განიზრახეს ფულის მაგივრად ტკბილი გამოერთმიათ, კომლზედ არა ნაკლებ ორ-ორი კოკისა, ხოლო ვინც ისურვებდა მომეტებულიც. ეს ტკბილი უნდა ჩაესხათ საერთოდ და გაეყიდნათ. თითოეულს წელიწადს შემოსულის ფულით შემდეგ წლებშიაც ისევ ტკბილი ეყიდნათ, წევრთაგან შემოტანილ ტკბილებისათვის მიემატებინათ და ამ გვარად ხუთის წლის განმავლობაში შეედგინათ თანხა, რომლითაც შემდეგში მოხერხებულიყო, საზოგადოებისავე სურვილით, ამა თუ იმ საქმის დაწყება, ან და უკანვე დაებრუნებინათ ყველასათვის თვისი ხვედრი ფულად, თუ საქმე არ განხორციელდებოდა.

ეს იყო შარშან და მოთაობა ამ საქმისა ეკუთვნოდა ბ. ლ. გიორგისძე ჩიკოიძეს. საზოგადოებამ თითქოს მოიწონა ეს აზრი ჯ თანხმობა გამოაცხადა. წესდებაც შეიმუშავეს და ბევრმა ხელიც მოაწერა; ამოირჩიეს გამგეთ მოთავე ამ საქმისა და უნდა დაეწყოთ კიდეც მოქმედება... მაგრამ როცა საქმე საქმეზედ მიდგა, ე. ი. ტკბილების მოგროვების დრო დადგა, ხალხმა, რაღაც მიზეზისაგამო, ზურგი შეაქცია, თავი მოარიდა ამ თითქმის დაბოლოებულსა და სასარგებლო საქმესა და ჩაიფუშა; მაგრამ სრულებით-კი არა: საქმემ დაჰკარგა საზოგადო ხასიათი და გადაიქცა კერძო სავაჭრო ამხანაგობათ მხოლოდ ერთი საგვარეულო 5—6 კომლ აზნაურისათვის, რომლებიც ამ საქმეს დღესაც აწარმოებენ.

მაგრამ ხალხის გულშემატკივართ არ უნდოდათ საქმე ჩაფუშულიყო და ამიტომ ამ ზაფხულს თავ. გიორგი ნიკოლოზის ძის ბეგთაბეგოვის (მეჯვრისხევს საგარაკოდ მოსულის) მეთაურობით ისევ აღიძრა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი. ღიდს იმედებსა და შემწეობასა ჰპირდებოდა პატივცემული ბეგთაბეგოვი საზოგადოებას. რომ ხალხი სრულიად თავისუფალი ყოფილიყო გადასახადებისაგან, ის რამდენისამე წლით უსარგებლოდ იძლეოდა ხუთას თუმნამდე ფულს, რომლითაც უნდა გაეხსნათ დეპო და სოფლის ყოველივე ნაწარმოები ღირებულ ფასად აეღოთ და არა ნახევარ ფასად და სხ.

მოიწვიეს საზოგადოება და აუხსნეს, თუ რა დიდს საჭიროებას შეადგენს მისთვის საკუთარი მკურნალის ჰყოლა; ჩააგონეს, რომ ადამიანისათვის ჯანმრთელობაზედ უძვირფასესი და უსაჭიროესი არა არის-რაო, მაგრამ ჩვენ ამაზედ ძალიან ცოტასა ვფიქრობთო და როცა ავადმყოფობა გვეწვევა, ღარიბი და უმეცარი ხალხი მკითხავებთან გარბის და იმათი ტყუილი რჩევა-დარიგებით ღობე-ყორეს ედება, შორს სალოცავებს ეპოტინება და ამითი ვალებში ვარდებაო; შეძლებული და შეგნებული ხალხი-კი მკურნალს იწვევს და იმისი ერთხელ მოყვანა 15—20 მანეთამდე უჯდება, მაგრამ არც პირველებსა და არც მეორეებს ამითი შესამჩნევი შვება არ ეძლევათ, რადგანაც მკურნალის ერთხელ მოსვლა ავადმყოფისთვის საკმარისი არასოდეს არ არის და მკითხავების რჩევას-კი, გარდა ვნებისა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო და სხ. ამისათვის კარგი იქნება ვიყოლიოთ მკურნალი, რომლისათვისაც დაგვჭირდება სულ მცირე რამ გარდასახადი, წელიწადში კომლზედ ათი შაურიდგან ერთ მანეთამდეო.

გლეხ-კაცობამ მოისმინა, ასწონ-დასწონა თავისი სასწორით ეს წინადადება და უპასუხა: „კაი დაგემართოთ, ბატონო, კარგი იქნებოდა, რასაც გვიბრძანებთ, მაგრამ სად შეგვიძლიან, თქვე დალოცვილო, მაგისთვისაც ფული ვიხადოთ? ან ჩვენთვის ვინ მოაცლის მკურნალს!? აი, სკოლას-კი არ ვინახამთ ჩვენის ხარჯით, რომ იმითი სხვები უფრო სარგებლობენო. აქაც მარტო სახელი იქნება ჩვენი და სახრავი სხვისაო“ და მკურნალისათვის მცირე რამ გარდასახადის გაღებაზედ უარი განაცხადეს...

შემდეგ საზოგადოებას ბატ. ბეგთაბეგოვის სურვილი გამოუცხადეს, რომ იგი მზად არის თავისის ფულით გაგიხსნათ კასსა და მოგცეთ საშუალება თვითეულმა მიიღოთ გაჭირების დროს ფული უსარგებლოდ პურში, ტკბილში, ღვინოში და საზოგადოდ ყოველსავე მოსავალში, რომელსაც დღეს ნება-უნებურად აგირავებთ და ნახევარ ფასადა ჰყიდით; აქ-კი, როცა გინდათ, ღირებულს ფასს მიიღებთ და მოიშორებთ თავიდგან ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც უზომო სარგებლებსაც გახდევინებენ და თქვენი შრომითა და ოფლით მონაგარიც მუქთად მიაქვთო... გლეხკაცობას არც ეს წინადადება მოუვიდა ჭკუაში, ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ, ყრილობა დაიშალა და ამ საგნებზედ ფიქრი ისევ ფიქრად დარჩა.

თან—ინ—ვან.

უცხოეთი

—

ინგლისი. ინგლისის კანონმდებლობის საუკეთესო მცოდნე პროფესორი დისეი თავის წიგნში „Rule Of Law“-ში ამტკიცებს, რომ ინგლისმა სამხედრო წესები და სამხედრო სასამართლოები სრულებით არ იცისო; საფრანგეთს, გერმანიასა და რუსეთში მთავრობას ნება აქვს სამოქალაქო მოხელეებს მაგიერად სამხედრო მოხელეებს მიანდოს მართვა, მაგრამ ინგლისის კანონებით ასეთის წესის შემოღება სრულიად უკანონოა. „ჯარის კაცებს, ინგლისის კანონით, შეუძლიანთ მეამბოხეთა წინააღმდეგ იბრძოლონ ისე, როგორც მტერთან, მაგრამ უფლება არა აქვთ სასამართლოს წესით დასაჯონ ისინი; ჯარის კაცებს შეუძლიანთ დახოცონ მეამბოხენი წესიერების დასამკვიდრებლად ამბოხების დროს, შეუძლიანთ დახოცონ ტყვეები, რომლებიც გაქცევას ან გაპარვას განიძრახავენ, მაგრამ ყოველი სიკვდილი, რომელსაც სამხედრო სასამართლო ადგენს, უკანონოა და პირდაპირი მკვლელობა“. ფელდმარშალი კიტჩენერი კაი ხანია, რაც სამხედრო სასამართლოს წესით ჰსჯის ბურებს და ბევრს მათგანს სიცოცხლესაც უსპობს, მაგრამ ვინ ითავებს და ვინ დასდებს მკვლელობის ცილს კიტჩენერს?

ავსტრია. ავსტრიის სავაჭრო საქმეთა მინისტრმა შეადგინა ახალი საბაჟო ტარიფის კანონ-პროექტი, რომელსაც ისეთივე უკიდურესი ხასიათი აქვს, როგორც გერმანიის ახალს კანონ-პროექტს.

შეერთებული შტატები. მთავრობამ სამართალში მისცა ანარქისტიული გაზეთის „Freiheit“-ის რედაქტორი, იოჰან მოსტი, რომელმაც დიდად მოიწონა მაკ-კინლეის მკვლელობა. სასამართლომ მოსტს ორის წლით სატუსაღოში დაპატიმრება მიუსაჯა. საზოგადოება აღტაცებით მიეგება ამ გადაწყვეტილებას.

გერმანია. პოზნანელის პოლონელების დევნამ დიდი ყურადღება მიიქცია დასავლეთ ევროპის საზოგადოებისა და მთავრობისა. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ერთს მოხელეს დაავალა პრუსიელებისა და პოლონიელების ურთიერთობის შესწავლა და სწავლა-განათლების სამინისტრომ ერთს მეცნიერს დაავალა ლექციები იკითხოს ამ საგნის შესახებ „Institut des sciences politiques“-ში. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, ისინი დიდის ყურადღებით ეკიდებიან ამ საგანს და დიდის თანაგრძნობით უყურებენ პოლონელებს. იტალიაში გარიბალდის მოხუცებულმა თანამედროვემ და თანამომქმედმა, უგეარნმა მიჰმართა თავის თანამოაზრეებს მოწოდებით, რომელიც პრუსიელთა და პოლონელთა ურთიერთობას ეხება.

ოსმალეთი. სალონიკიდამ სწერენ „Indépendance Belge“-ს, საფრანგეთის კონსულის მოადგილეს მონასტირში ოსმალეთის ჯარის კაცები დაესხნენ თავს ისე, როგორც წიხად ავსტრიის კონსულს პრიზრენდში. დამნაშავენი დაპატიმრებულნი არიან. სამხედრო გუბერნატორი კონსულის მოადგილესთან წავიდა ბოდიშის მოსახდელად.

— კოვეიტი რომ ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში, ეს კონსტანტინეპოლში არავისთვის საეჭვო აღარ არის. ბრიტანიის ჯარი გადმოვიდა ნაპირზე, ამართა დროშა და ამას მოჰყვა ზარბაზნების სროლა ნიშნად მიგებებისა. ამით გათავდა ცერემონია. ოფიციალურად კოვეიტი უკვე ინგლისის სამფლობელოდ ითვლება. ერთს რუსს დიპლომატს უთქვამს, ამას იმდენად ოსმალეთისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც რუსეთისთვისაო.

ჩინეთი. ჩინეთში ორი ახალი საიმპერატორო ედიქტი გამოიკა. ერთში ნათქვამია, რომ წინად გამოცემული ედიქტები რეფორმების შესახებ აღსრულებაში იქმნას მო-

---

პრისტავი რიგიანი და პატიოსანი კაცია, სამსახურში დაბერებული; და როგორ დავიჯეროთ, ვითამც ასეთს კაცს ვიღაც პლუტი მედუქნე და ღვინით გაჟღენთილი მამასახლისი ისე აბრიყვებდნენ, თითქო ეს პრისტავი კი არა,—ჩინეთიდან მოსული მანდარინი იყოს, რომელსაც ჩვენი სოფლის წესისა და მმართვისა არა გაეგებოდეს რა.

პრისტავი რომ ახალგაზდა და გამოუცდელი ყოფილიყო, შეიძლება თავი გამოედო, სამსახურის წესს გადასულიყო, საქმეში ჩარეულიყო და თითონაც გადაეწყვიტნა. მაგრამ ისეთი პრისტავი, რომელსაც ავტორი გვისახავს, სამსახურში დაბერებულიო, ე. ი. ხალხის მუდმივის ჩივილით და დავიდარაბით მობეზრებული, მაგრამ სვინდისიერი და რიგიანი, უსათუოდ საქმეს ცივად და ფორმალურად მოეკიდებოდა. მაგისთანა მოხელემ კარგად იცის, რა ძნელია მტყუვანისა და მართალის აღმოჩენა; თუ ნამდვილ დარწმუნებული არ იქნება მოდავეს სიმართლეზე, სინდისი ნებას არ მისცემს საქმე გადასწყვიტოს, ხოლო დასარწმუნებლად ერთი გამოძიება უნდა მოახდინოს,—და მერე ვისა აქვს გამოძიების თავი?!. ან რისთვის გაიჭიროს საქმე და რისთვის გაიცოს თავი გლეხის საჩივარის გარჩევით, როდესაც ეგ სოფლის სუდიების საქმეა? განა ათას წილ არა სჯობს ეს მოსაზრებული საქმე თავიდან აიცილოს და სხვას მოახვიოს, მეტადრე თუ კანონიერი მიზეზიცა აქვს?

არას დროს ის პრისტავი არ მოიქცეოდა ისე, როგორც ბ. სიკო გვიამბობს და თუ მაინც მოიქცა, ეგ უტყუარი საბუთია, რომ იმოდენა ხალხში, რომელიც ქიტელაშვილის საქმის გარჩევას დაესწრო, მხოლოდ ერთმა არ იცოდა სოფლის წესი და სამართალი,—თვით ბ. ავტორმა. მისი უცოდინარობა არის მიზეზი იმ უგუნურის ამბისა, მისს მოთხრობაში რომ ხდება.

ამას წინად „კვალის“ ერთს მოთხრობის გარჩევის დროს ვნახეთ*), და ახლა ბ. სიკოს მოთხრობა კვლავ გვიმტკიცებს, რომ ჩვენს ახალს მწერლებს სრულიად არ მიაჩნიათ საჭიროდ თავიანთ საგნის შესწავლა. სოფლის ცხოვრება, მისი ავი და კარგი, გაჭირება და უბედურობა—მათ თავს იდეს ვითამც ჩვენთვის ეცნობათ და განკურნების ღონეც ჩვენთვის ესწავლებინათ, მაგრამ აქამდის თავიანთ უვიცობის მეტი ვერა გამოუჩენიათ რა. მათი ნაწარმოები სოფლის ცხოვრების დაკვირვებისა და შესწავლის ნაყოფი კი არ არის, არამედ უსაფუძვლო ფანტაზია, წინადვე განზრახულის აზრის, ტენდენციის დასამტკიცებლად მოგონებული.

ახალს მწერლებს „ტეტიაურს ლიტერატურაში“ ახალის ტენდენციების მეტი სხვა ახალი არა შემოაქვთ რა. მას აქეთ, რაც ეს დარგი ლიტერატურისა დაარსდა, მის თხზულებების არც ტემა და არც ტიპები არ შეცვლილა. მისი იდეალი გლეხი მარად და მარად იგივე ტეტიაა, იგივე ბეჩავი, დაჩაგრული, ყველასაგან დაბრიყვებული, გამოჩერჩეტებული, ულონო, უვიცი, თითქო გუშინ გამოსულიყოს ყმობიდან და გზა დაბნეულმა არ იცის როგორ მოაწყოს თავისუფალი ცხოვრება ან როგორ შეითვისოს ახალი გარემოებანი. თითქო 25—30 წელიწადმა ისე განვლო, რომ სოფლის ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ შემოსულაო. აი, მაგალითად, თორმეტი წელიწადია რაც საქართველოს სამხედრო ბეგარა დაედო. მას აქეთ ყოველ წლივ გაჰყავთ ათასობით სოფლის ბიჭები სალდათად და ყოველ წლივ უბრუნდება სოფელს ათასობითვე „ნასალდათარი“. შეუძლებელია, ამ გარემოებას ცვლილება რამ არ მოეხდინა სოფლის ცხოვრებაში ან ახალი ტიპი არ შეექმნა. სად და როდის დაიჩნდა ჩვენს ბელეტრისტიკას ეს ცხოვრების ცვლილება?—ყველასათვის თვალსაჩინო და საკვალო გახდა ქალაქის გამჭრყვნელი და გამხრწნელი ზედ მოქმედება სოფლელების ახალგაზდობაზე,—გინდ გლეხის და გინდ თავად-აზნაურის,—მხოლოდ ჩვენი ბელეტრისტები ვერას ხედავენ და ვერას მიხვედრილან. სულ იმასვე ტიტინებენ, რაც მათმა მამებმა ამ ოცდაათი წლის წინად გვიამბეს.

თვით სუჟეტის გამორჩევა გვიმტკიცებს, რომ მოთხრობის ავტორს, ბ. სიკოს, ვერ გამოურკვევია და ვერ დაუფასებია, სოფლის ცხოვრების ელემენტებში რომელი უფრო მნიშვნელოვანია და უაღრესი. უწინდელს მწერლებს მამასახლისი სოფლის მტარვალად მიაჩნდათ, ამიტომაც მამასახლისის თვითნებობა და მოქრთამობა მათის მოთხრობების ჩვეულებრივს ტემად გახდა. ბ. სიკომ ტემის არჩევაშიაც ვერ გამოაჩინა ორიგინალობა და თავისებური დაკვირვება: მისი გმირი ისევ ის ლოთი და მოქრთამე მამასახლისია.

რასაკვირველია, ასეთის ტემის არჩევაც წამხედაობის შედეგია, თორემ ავტორი რომ თვითონ დაჰკვირებოდა, უეჭველად ნახავდა, რომ სოფლის მართვა-გმმგეობაში სხვა ჭირიც არის, მამასახლისზე უარესი. მამასახლისი პოლიციის უმცროსი მოხელეა და მისი განკარგულება თუ უკანონოა, უფროსს მოხელეებს შეუძლიანთ გააუქმონ და ესრედ მოსპონ მავნე შედეგი მისის უსამართლოებისა. ასე რომ, თუ მამასახლისის თვითნებობა ჭირია, ამ ჭირს შეღავათიც მოეპოვება. მაგრამ რით განიკურნება ის ნივთიერი და ზნეობრივი ზარალი, რომელიც მოაქვს მუდამ სოფლის სასამართლოს უსამართლობას? სოფლის სასამართლო არც ძალადობისა და არც დაქრთამვისაგან არის დაცული, მისი განაჩენი კი, თუ ფორმის მხრით წესიერად დადგენილია, ვერას გზით ვერ განსაჩივრდება და ვერ მოიშლება. რა სამართალს უნდა მოელოდეს სოფელი ასეთს სასამართლოში? ვინც კი დაჰკვირვებია სოფლის მართველობას, უთუოდ დარწმუნებულა, რომ მის ნაკლთა შორის უაღრესი სოფლის სასამართლოა. ჩვენი მწერლები კი ჩასციებიან ამ ერთს მამასახლისსა და ოცდაათი წელიწადია სწევენ, თითქო თავი მიზეზი სოფლის დაღუპვისა მხოლოდ ეს იყოსო.

ალ. ს—შვილი.

---

*) იხ. „ივერია“ № 181.

ყვანილი, და მეორის ძალით რამდენიმე ახალი სახელმწიფო დაწესებულება არსდება.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრეფილი ამბები)

—

სტოკჰოლმში შვედურ ენაზედ გამოსულა მ. გორკის თხზულებათა კრებული. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე შესანიშნავ კრიტიკოსის გეორგ ბრანდესის წერილი, რომელშიაც კრიტიკოსი დიდად შეაქებს ახალგაზრდა მწერლის ნიჭსა და თხზულებებს. ამ ცოტა ხანში გელსინგფორში ფინურ ენაზედაც გამოვა თურმე გორკის ყველა თხზულებანი.

***

ამსტერდამელმა გემების მემანქანეებმა და დოკების მუშებმა გამოსცეს თურმე მანიფესტი, რომელშიაც ურჩევენ მუშებსა და მუშათა კავშირებს აღარ იმუშავონ იმ გემებზედ, რომელზედაც ინგლისის დროშაა აფრიალებული. რაც უნდა დიდი ფასი მოგცენო, ნათქვამია მანიფესტში, აღარ შეუდგეთ ინგლისელთა გემების დატვირთვასა და გადმოტვირთვას იმ დრომდე, ვიდრე ინგლისსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებს შორის ზავი არ იქმნება დადებულიო. ბოიკოტი დაიწყობა 1901 წ. 31 დეკემბრიდგან. ჰოლანდიელ მუშებს აზრადა აქვთ ამავე შინაარსის მოწოდება გაუგზავნონ საფრანგეთისა, გერმანიისა, შვეციისა, ნორვეგიისა, დანიისა, ბელგიისა და იტალიის მუშებს. მოწოდების ქვეშ ხელი უწერია ამსტერდამელ მუშათა რვა მთავარ კავშირის პრეზიდენტს. „ჩვენ, მუშები,—ნათქვამია, სხვათა შორის, მოწოდებაში,—დიდ ზარალსა და ტანჯვაში ვართ ინგლის-ბურების ომისაგან. ვცდებით დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლიან დიდი გავლენა ვიქონიოთ ინგლისზედ და ომზედ ხელი ავაღებინოთო.“

***

ბოსტონში (ამერიკაშია) დაარსდა ახალი საზოგადოება ბაყაყების გასაშენებლად და შემდეგ გასასყიდად. ამ საზოგადოებამ ბოსტონის მახლობლად უერში გამართა განსაკუთრებული ფერმა, სადაც უნდა გააშენონ და გაასუქონ ბაყაყები. ფერმა ერთის დიდის არხის მახლობლადაა. საზოგადოებას აზრადა აქვს აუზები გამართოს და საზოგადოდ საქმე კარგად მოაწყოს. საზოგადოებას იმედი აქვს პირველს ხანს წელიწადში 50,000-მდე ბაყაყი გაჰყიდოს. მუშტარი საზოგადოებას დიდი ეყოლება. უმთავრესად ამ ცხოველებს შეიძენენ უნივერსიტეტები და სხვა-და-სხვა სამკურნალო საზოგადოებანი. როგორც ვუწყით, მკურნალებისათვის სხვა-და-სხვა გამოკვლევის დროს ბაყაყი დიდად საჭიროა. ფერმაზედ გასათბობ აპპარატებს დასდგამენ, ასე რომ ბაყაყის დაბარება იქიდგან ზამთარ-ზაფხულს შეიძლება. ბაყაყებს ბაზარშიაც გაჰყიდიან. ამერიკასა და ბევრგან სხვაგან ამ მცხოველს საჭმელადაც ჰხმარობენ, ასე რომ ბაზარში ხშირად შეჰხვდებით გასასყიდლად გატანილს ბაყაყს. საზოგადოებას ბევრი მუშტარი ეყოლება, რადგანაც კარგის ჯიშის ბაყაყის გაშენება აქვს აზრად. ეს პირველი მაგალითი არ არის ბაყაყის გაშენებისა. მეკლენბურგში კარგა ხანია ადგილებრივი გლეხები ბაყაყის ხელოვნურად გაშენებას შეუდგნენ. ეს გლეხები უნივერსიტეტებში ჰგზავნიან ბაყაყებს და დიდძალ ფულსაც იგებენ

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

9 ოქტომბერი.

ტამბოვი. ტამბოვის სამაზრო კრობამ გარდასწყვიტა ბატონ-ყმობის გადავარდნიდგან ორმოცის წლის შესრულების სახსოვრად ლავროვსკის სოფლის საზოგადოებაში სკოლა ააშენოს, რისთვისაც 4,200 მან. იქმნა გადადებული. სკოლას ერობა შეინახავს.

ჩისტოპოლი. სამგზავრო გემები მხოლოდ-ღა ყაზანსა და ჩისტოპოლს შუა დადიან.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სანავოსნო საზოგადოებანი დღეიდგან რიბინსკში გემებს აღარ გაჰგზავნიან.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება დეპეშით პრეტორიიდგან: „ინგლისის კერძო რაზმები იუწყებიან 1 ოქტომბრიდგან, რომ მოუკლავთ 25 ბური, დაუჭრიათ 18, ტყვეთ წაუყვანიათ 190 და დაჰმორჩილებიან 50. ბოტას მიერ ვრაიგედში მოყვანილი რაზმი უკუ-ქცეულ იქმნა ერმელოსაკენ; ადგილობრივ მდგომი რაზმები გაფანტულ იქმნენ; ინგლისის ჯარები ბურებს მუდამ ჰხვდებიან. ცუდი დარები დაიჭირა, რაიცა ინგლისის ჯარების მოძრაობას დიდად აბრკოლებს. სხვა-და-სხვა მხარეს საპოლიციო სადარაჯოები იქმნა გამართული. პოლკოვნიკის პილჩერის მიერ გაგზავნილი დამზვერი რაზმი სუტფაელდის მახლობლად, 6 ოქტომბერს, „ხაკებში“ გამოწყობილმა ბურებმა ტყვეთ წაიყვანეს. გრააფრეინსტის ჩრდილოეთით, კაპის ახალშენში, სმუტსი საშინლად შევიწროებულია. შიდა ოლქებში და სამხრეთით მხარე მთლად გაწმენდილია ბურებისაგან, გარდა გუტდურმისა და მედიამილტის ოლქებისა, სადაც შეპერსის რაზმის ჯარის-კაცნი კიდევ არიან დარჩენილნი. კაპის ახალშენის აჯანყებულებმა კალვინიიდგან სამხრეთით მოისურვეს გამოსვლა, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. ვერც ფუშემა და მიბურგმა ვერ გაატანეს უკადურეს აღმოსავლეთიდგან სამხრეთისაკენ; მთებისაკენ დაიხიეს“.

პარიზი. ინგლისიდგან მაქსიმის სისტემის 150 ზარბაზანი გაუგზავნიათ ინდოეთში, საიდგანაც იუწყებიან თურმე—აქაურს რაზმებში ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობამ იჩინა თავი იმის გამო, რომ ტრანსვაალში ინგლისელები იქმნენ ძლეულნიო.

სვატაუ. ხსინინგში მშვიდობიანობა იქმნა აღდგენილი. 140 აჯანყებული იქმნა სიკვდილით დასჯილი.

ბათუმი. 8 ოქტომბერს, საბჭოს სხდომაზედ, გამოცხადებული იქმნა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება, რომ ქალაქის გამგეობის წევრი ვოლსკი, სასულიერო მთავრობის დეპუტატი და საბჭოს 19 წევრი სისხლის სამართლის 1424 მუხლის ძალით სამართალში იქმნებიან მიცემულნი.

ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი მგელაძე 8 ოქტომბერს მოსამსახურე თოთიბაძემ მოჰკლა. მკვლელმა დანა ჩასცა ზურგში.

ბომბეი. ჯავშნიანი გემი „მარაფონი“ კოვეიტიდგან დაბრუნდა. კოვეიტში მშვიდობიანობა თურმეა. გემს „პომონს“ შეიხის მახარუკასათვის იარაღი აღარ გადაუცია, რადგანაც მოსალოდნელი თურმე აღარ არის, რომ ადგილობრივს არაბეთის ტომებს ერთმანერთში შეტაკება მოუხდეთ. ნეჯის ემირი ქვეყნის შუა-გულ მიიქცა.

ბერლინი. გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებისა გამო, ვითომ მთავრობას განზრახვა ჰქონდეს არ მოჰსპოს სავაჭრო ხელშეკრულებანი, „Norddeutsche allgemeine Zeitung“ აცხადებს, რომ შემუშავებულია ახალი საბაჟო გარდასახადი, რომლის საშუალებითაც გერმანიის მთავრობა იმედოვნებს სახელმწიფოებთან სავაჭრო-საპოლიტიკო განწყობილებანი სხვანაირად მოაწყოს. მეტადრე იმ პირობებში, თუ რომ ადგილობრივის სამიწათ-მოქმედო ნაწარმოებს მეტს მფარველობას გაუწევენ. საზოგადოდ გარდაწყვეტილება იმისი, რომ ხელთშეკრულობანი არ იქმნენ გაუქმებულნი, მხოლოდ გააძლიერებს იმ სახელმწიფოთა დღევანდელს მდგომარეობას, რომლებთანაც ახალი ხელთშეკრულობის დადება გვაქვს განზრახული. გამოცხადდება თუ არა, რომ არსებული ხელთშეკრულობანი გაუქმებულნი არიან, ან როდის მოხდება ეს, სრულიად ახალს საბაჟო გარდასახადზე და უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელთშეკრულობაზეა დამოკიდებულიო.

10 ოქტომბერი.

დონის როსტოვი. აზოვში საზარელი ბოროტმოქმედება მოხდა: 70 წლის მოხუცი დედაკაცი პოლუექტოვისა თავისსმა ღვიძლმა შვილმა მოჰკლა დანით. მიზეზი თურმე ის არის, რომ დედამ ნაბახურევს შვილს ფული არ მისცა.

ტაშკენტი. შუადღისას დაიწყო სამხედრო მინისტრის თანადასწრებით ტაშკენტ-ორენბურგის რკინის გზის გასაყვანად მუშაობა. სამხედრო ეკკლესიების ბლაღოჩინმა ბოგოროდიცკიმ ამ შემთხვევისა გამო შემდეგი შინაარსი სიტყვა წარმოსთქვა: „დღევანდელი დღე თურქესტანის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერება: უხუცესი და უქველესი თურქესტნელი, სიამაყე ჩვენის მხარისა, პირველს ქვას დასდებს; ამ გზის გაყვანაზედ ფიქრობდა მუდამ გენერალი გაუფმანი. დიდებული იდეები ასე მოიჭმენ ხოლმე თვით მათ გამფიქვრელთ; ნებითა ღვთისათა და მონარხის ბრძანებით განსვენებულის აზრი დღესა სრულდება. დღევანდელი დღესასწაულობა მარტო ჩვენი, თურქესტნელებისა-კი არ არის, მთელის ევროპის დღესასწაულია; იგია გამარჯვება ჩვენის კულტურისა, ჩვენის ისტორიულის დანიშნულებისა აზიაში, გონიერების გამარჯვებაო.“

მოსკოლ-მინი. გადაკეთებულ თოფების გასყიდვა აღკრძალულია. ყველა გადაკეთებული თოფები უკან უნდა იქმნეს დაბრუნებული, წინააღმდეგს შემთხვევაში დამნაშავე დასჯილი იქმნება.

სოფია. სახელმწიფო კომისსიამ დადგინა სამართალში მიცემული მინისტრები ივანჩევი და ტონჩევი თავდებით გამოუშვან, თუ რომ 50 ათასს ლევს წარადგენენ.

პარიზი. პალატა. ძალის წინადადებაზედ, რომელიც ითხოვდა მინიმალური სამუშაო ფასი და 8 საათის მუშაობა იქმნეს მაღაროებში შემოღებული, ვილდეკ-რუსსომ განაცხადა, რომ მთავრობა განზრახულ ცვლილების განხილვას შეუდგება, მაგრამ დიდის სიფრთხილით და არც იძლევა იმის იმედს, რის შესრულებაც შეუძლებელია. პალატამ წინადადება მიიღო და მთავრობის მიერ დაუყოვნებლივ განხილვის უარყოფა შეიწყნარა.

განცხადებანი

ᲚᲘᲠᲡᲫᲛᲜᲘᲚᲘ

უმაღლეს იმპერატრებიეს

ᲕᲘᲚᲓᲝᲡᲘ

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ Ა. Ს. ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

მოწვეულია ახალი გამგე ფოტოგრაფიისა. შეიძლება შეკვეთა ყველგვარი ფოტოგრაფიული სურათისა, რომელიც თავის დროზე და გულმოდგინეობით მზადდება. ფასები ყველასთვის ხელ-მისაწვდენია, მოსწავლეთათვის შეღავათიანი.

ფოტოგრაფია გაღებულია დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ფოტოგრაფიას მრავლად მოეპოვება მუშტართათვის საქართველოს და კავკასიის შესანიშნავის ადგილების ტიპების და ძეგლების სურათები.

(3—უ—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს

ძაღლებზედ შემოღებულ გადასახადის მოკრეფის წესებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამტკიცა ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ.

1) გადასახადი წესდება ტფილისში ყველა ძაღლებზე, ჯიშის გაურჩევლად, გარდა: ა) იმ ძაღლებისა, რომელნიც ეკუთვნიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ და საელჩოების და მისსიების სხვა წევრთ, აგრეთვე უმთავრეს კონსულებს, კონსულებს, ვიცე-კონსულებს და საელჩო აგენტებს, თუ ესენი იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან, რომელმაც დანიშნა, თუ ამ სახელმწიფოსთან რუსეთს საელჩო კონვენცია აქვს დადებული და თუ ის სახელმწიფოც არ ახდევინებს რუსეთის წარმომადგენელთა და კონსულებს ძაღლებზე გადასახადს; ბ) იმ ძაღლებისა, რომელნიც პატრონთ ეზოებში ჰყავთ ჯაჭვზე დაბმული; გ) იმ ძაღლებისა, რომელნიც ეკუთვნიან ტფილისში დროებით ჩამოსულთ, თუ ესენი ერთ თვეზე მეტს არ დაჰყოფენ ქალაქში; და დ) იმ ძაღლებისა, რომელნიც ეკუთვნიან სამხედრო სანადირო რაზმებს, აგრეთვე რომელნიც სამხედრო პირთ და დაწესებულებათ ჰყავთ ნადირობისათვის, იმ პირობით კი, რომ ეს ძაღლები ჩამოთვლილ იქმნებიან სათანადო ჯარის განყოფილებების ბრძანებაში.

2) გადასახადი იქნება 1 მანეთი თითო ძაღლზე წელიწადში.

3) ძაღლის პატრონი გარდასახადს იხდის ყოველ წლის დასაწყისში; მარტის თვის შემდეგ კი გადამხდელზე ჯარიმა არსდება.

4) ყოველს გადამხდელს ქალაქის გამგეობიდგან ეძლევა ნიშანი, რომელზედაც აღნიშნული იქმნება შემოტანილ გადასახადის კვიტანციის ნომერი. განსაკუთრებული ნიშნები მიეცემა აგრეთვე იმ ძაღლებისთვის, რომელნიც ეკუთვნიან 1-ლ მუხლის ა) და დ) პუნკტებში აღნიშნულ პირთ და სამხედრო დაწესებულებათ; მათ გადახდებათ მხოლოდ ნიშნების ღირებულობა. ნიშნები ძაღლს საყელოზე უნდა ჩამოჰკიდონ გაჩუქებისა ან გასყიდვის დროს თან უნდა გააყოლონ.

5) თუ ნიშანი დაიკარგა, ქალაქის გამგეობიდგან გაიცემა ახალი ნიშანი, რომლის ფასიც პატრონმა უნდა გადაიხადოს.

6) თუ ვინმემ წლის განმავლობაში შეიძინა ძაღლი, 14 დღის ვადაზე უნდა გამოუცხადოს ეს გამგეობას და სრულად ან ნახევრად უნდა გადაიხადოს ხვედრი გადასახადი იმის მიხედვით, თუ წლის რომელ ნახევარში შეიძინა ძაღლი.

7) ვინც გადასახადს დროზე არ შეიტანს, მას გარდა იმისა, რომ გარდასახადი გარდახდება, ჯარიმაც მიესაჯება; ჯარიმის რაოდენობა ულრის დარჩენილ გადასახადის 10%-ს.

8) გადასახადის შემოტანის ვადა და ადგილი, სადაც ის უნდა შეიტანონ პატრონებმა, ქალაქის გამგეობამ საყოველთაოდ უნდა გამოაცხადოს გადასახადის შემოტანის ვადის ერთის თვით წინ.

9) ქუჩებსა და მოედნებზე მაწანწალა ძაღლებს, თუ მათ ნიშნები არ ექნება, ქალაქის განსაკუთრებული მოიჯარადრე დაიჭერს. დაჭერილ ძაღლის პატრონმა 5 დღის განმავლობაში უნდა შეიტანოს ხვედრი გადასახადი, ან უნდა დაამტკიცოს, რომ მან უკვე გადიხადა გადასახადი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერილი ძაღლები დახოცილ იქმნებიან. ამასთანავე დახოცილ ძაღლების პატრონთ გადახდებათ როგორც დაწესებული გადასახადი, ისე ჯარიმა ძაღლის შენახვისათვის, დღეში 15 კაპ.

10) იმ ძაღლების რაოდენობის ცნობაში მოსაყვანად, რომელთაც გადასახადი დაედებათ, ქალაქის გამგეობა, თავის აგენტების შემწეობით, ადგენს ყოველ წელს არა უგვიანეს 1-ლ იანვრისა განსაკუთრებულ სიებს, ხოლო არა უგვიანეს 1-ლ თებერვლისა უგზავნის ძაღლების პატრონთ გადასახადის ფურცლებს.

აწესებს-რა ამ გადასახადს, ქალაქის გამგეობა აცნობებს ძაღლების პატრონთ, რომ 1901 წლის გადასახადი მათ უთუოდ 10 ნოემბრამდე უნდა გადაიხადონ; იმ დღიდგან-კი ჯარიმა გადახდებათ, თანახმად წესების მე-9 პარაგრაფისა. გადასახადი წარდგენილ უნდა იქმნას სავაჭრო პოლიციის კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან: 1-ლ და მე-2 საპოლიციო ნაწილებისთვის—ვერის მოედანზე, მე-3 და მე-4 ნაწილებისთვის—სალდათის ბაზარზე, მე-5 და მე-6 ნაწილებისთვის—თათრის მოედანზე, მე-7 ნაწილისთვის—კახეთის მოედანზე, მე-8 ნაწილისთვის—დესიმონოვის მოედანზე, მე-9 და მე-10 ნაწილისთვის—ავჭალის მოედანზე, წყლის მილის ბუდეში, ნაძალადევისათვის კი ადგილობრივ აგენტის ბუდეში, წყლის მილის ქუჩაზე, რუქსის სახლში; ძაღლების პატრონნი, რომელნიც გადასახადს შეიტანენ, აგენტები კვიტანციებს მისცემენ და ამ წლისთვის დაწესებულს ნიშნებს. ამასთანავე გამგეობა სთხოვს გადასახადის შემომტანთ თვალ-ყური ადევნონ, რომ კვიტანციაზე უთუოდ აღნიშნული იყოს ნიშნის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში კვიტანციას ძალა აღარ ექნება.

2—ნ.—1

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.